ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N 14
6.09.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ტექნიკური ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში –"ოკუპაციური თერაპია"
2. საბაკალავრო პროგრამის "ოკუპაციური თერაპია" ხელმძღვანელად პროფესორ თამარ გაგოშიძის არჩევა;
3. ცვლილებების ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე მოქმედი პროგრამების სილაბუსებში
4. ასოც. პროფესორის მ. მელიქიშვილის სამაგისტრო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა", პროგრამის თანახელმძღვანელობიდან წასვლის საკითხი;
5. ფსიქოლოგიის დეპარტამენტის, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად ასოც. პროფესორ ია აფთარაშვილის არჩევის საკითხი;
6. ასოც. პროფესორის მ. მესტვირიშვილის 2018 წლის 22 სექტემბრიდან 5 ნოემბრამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლის საკითხი;
7. პროფესორ მ.წერეთლის 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 17 თებერვლამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლის საკითხი;
8. ასოც. პროფესორის ი. პეტრიაშვილის 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 1 მარტამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლის საკითხი;

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს თავჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები :

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორები :

ლალი სურმანიძე

ასოცირებული პროფესორები :

ვახტანგ ნადარეიშვილი, თამარ აბაშიძე, მაია მესტვირიშვილი, ანი ქიტიაშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ია აფთარაშვილი, მანანა მელიქიშვილი, ეკატერინე ფირცხალავა, ლილი ხეჩუაშვილი, ნინო ლაბარტყავა, ირინა ჟვანია, შორენა მამუკაძე.

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორი :

ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი; ეთერ ღვინერია

სტუდენტები:

პაატა ჯოლბორდი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა **სულ 19 წევრი**

1. ტექნიკური ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში –"ოკუპაციური თერაპია"

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მედიცინის ფაკულტეტიდან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამის „ოკუპაციური თერაპია" გადმოტანის გამო, აღნიშნული პროგრამაში და სილაბუსებში შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. კერძოდ, შეიცვალა ფაკულტეტის სახელწოდება და დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობად ჩაიწერა 21 ქულა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

2. საბაკალავრო პროგრამის "ოკუპაციური თერაპია" ხელმძღვანელად პროფესორ თამარ გაგოშიძის არჩევა;

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბაკალავრო პროგრამის "ოკუპაციური თერაპია" ხელმძღვანელად წამოყენებულია პროფესორ თამარ გაგოშიძის კანდიდატურა და სთხოვა საბჭოს წევრებს მხარი დაეჭირათ აღნიშნული საკითხისათვის.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურას და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

3. ცვლილებები ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე მოქმედი პროგრამების სილაბუსებში

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ წარმოდგენილ სილაბუსებში შევიდა შემდეგი ხასიათის ცვლილებები

ა) საბაკალავრო პროგრამა: "ფსიქოლოგია"– სასწავლო საგანში "სოციალური მუშაობის შესავალი" (სილაბუსის ავტორი გ. წოწკოლაური) ახლებურად გადანაწილდა აქტივობის ქულები პრეზენტაციას, თეორიულ ნაშრომსა და შუალედურ გამოცდას შორის;

ბ) სამაგისტრო პროგრამა: "ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური) დაემატა

ახალი არჩევითი სასწავლო საგნები – " სამეცნიერო პროდუქციის შექმნის პრინციპები1 (სატრენინგო კურსი)", კურსის ავტორი პროფ. ლ.სურმანიძე;

" სამეცნიერო პროდუქციის შექმნის პრინციპები 2 (სატრენინგო კურსი)", კურსის ავტორი ასისტ. პროფესორი ვ. გამსახურდია;

" ფსიქოანალიზი და კულტურა", კურსის ავტორი პროფ. მ.ჩიტაშვილი;

"კულტურული კოგნიცია", კურსის ავტორი ფსიქ. დოქტორი დ.ჩუბინიძე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები სილაბუსებსა და პროგრამის კურიკულუმში ფსიქოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კომიტეტის მიერ იქნა დამტკიცებული (კომიტეტის სხდომის ოქმი #2);

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

4. ასოც. პროფესორის მ. მელიქიშვილის სამაგისტრო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა", პროგრამის თანახელმძღვანელობიდან წასვლის საკითხი;
საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შემოსული განცხადების საფუძველზე ასოც. პროფესორი მ. მელიქიშვილი, პირადი სურვილის შესაბამისად აღარ შეასრულებს სამაგისტრო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა", პროგრამის თანახელმძღვანელის მოვალეობას. შესაბამისად, საბჭოს წინაშე ისმება საკითხი ასოც. პროფ. მ. მელიქიშვილის სამაგისტრო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა", პროგრამის თანახელმძღვანელობიდან წასვლის შესახებ.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

5. ფსიქოლოგიის დეპარტამენტის, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად ასოც. პროფესორ ია აფთარაშვილის არჩევის საკითხი;
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს წინაშე დასამტკიცებლად შემოსულია განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად ასოც. პროფესორ ია აფთარაშვილის არჩევის საკითხი. სასწავლო წლის დასაწყისში ინსტიტუტის ხარისხიანი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია წამოყენებული კანდიდატურის მხარდაჭერა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურას და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

6. ასოც. პროფესორის მ. მესტვირიშვილის 22 სექტემბრიდან 5 ნოემბრამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლის საკითხი;

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს წინაშე შემოსულია ასოც. პროფესორ მაია მესტვირიშვილის განცხადება, რომელშიც იგი გვაცნობებს კუთვნილი ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულების აღების სურვილს აშშ-ში აირექსის პროგრამით დაფინანსებული სტაჟირების ფარგლებში 2018 წლის 22 სექტემბრიდან 5 ნოემბრამდე და სთხოვა საბჭოს, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ წინადადებას.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად
მომხრე: 19
წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

7. პროფესორ მ.წერეთლის 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 17 თებერვლამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლის საკითხი

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს წინაშე შემოსულია პროფესორ მზია წერეთლის განცხადება, რომელშიც იგი გვაცნობებს კუთვნილი ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულების აღების სურვილს 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 17 თებერვლამდე კვლევითი პროექტის განხორციელებისა და შედეგების ანალიზის მიზნით და სთხოვა საბჭოს, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ წინადადებას.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

8. ასოც. პროფესორის ი. პეტრიაშვილის 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 1 მარტამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლის საკითხი;

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს წინაშე შემოსულია ასოც. პროფესორ იზაბელა პეტრიაშვილის განცხადება, რომელშიც იგი გვაცნობებს კუთვნილი ანაზღაურებადი სამეცნიერო შვებულების აღების სურვილს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 1 მარტამდე და სთხოვა საბჭოს, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ წინადადებას.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს და დაამტკიცა ერთხმად

მომხრე: 19

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

დაადგინეს:

1. **დამტკიცდეს ტექნიკური ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში –"ოკუპაციური თერაპია" წარმოდგენილი სახით**

2. **დამტკიცდეს საბაკალავრო პროგრამის "ოკუპაციური თერაპია" ხელმძღვანელად პროფესორი თამარ გაგოშიძე**

3. **დამტკიცდეს ცვლილებების ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ბაზაზე მოქმედი პროგრამების სილაბუსებში წარმოდგენილი სახით**

4. **დამტკიცდეს ასოც. პროფესორის მ. მელიქიშვილის სამაგისტრო პროგრამის "განათლების ფსიქოლოგია და კვლევა", პროგრამის თანახელმძღვანელობიდან წასვლის საკითხი;**

5. **დამტკიცდეს ფსიქოლოგიის დეპარტამენტის, განათლების ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელად ასოც. პროფესორი ია აფთარაშვილი**

6. დამტკიცდეს ასოც. პროფესორ მ. მესტვირიშვილის 2018 წლის 22 სექტემბრიდან 5 ნოემბრამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლა;

8. დამტკიცდეს პროფესორ მ. წერეთლის 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის 17 თებერვლამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლა;

7. დამტკიცდეს ასოც. პროფესორ ი. პეტრიაშვილის 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 1 მარტამდე ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებაში გასვლა.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი / /